



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ მ ა ნ ე ბ ა

№ 04-04/2 12.04. 2022 *ჩვს*

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საშემოდგომო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე შემოდგომის სემესტრის დასკვნითი საგამოცდო პროცესის ჰიბრიდული, ცენტრალიზებული წესით,

ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ :

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - როლანდ კოპალიანი- რექტორი (კომისიის თავმჯდომარე)
 - შალვა კირთაძე - რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
 - თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
 - იმერი ბასილაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
 - ოთარ შენგელია - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
 - ლუკა დვალიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - ნანა შონია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - ნანა ჯულაყიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - მამული ბუჭუხიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი
 - ირინე ფხაკაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
 - ომარ კიკვიძე - საინჟინრო - ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი
 - მაია გრმელიძე - საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
 - ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის დეკანი
 - ლალი ხარბედია - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი
 - დავით კეთილაძე - ონ-ლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტი
 - რამინ ჯუღელი - ონ-ლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტი
 - ნოდარ ცაგარეიშვილი - ელექტრონული სწავლების კოორდინატორი
2. უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ჰიბრიდული წესით, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებზე სამემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანატისა და საგამოცდო ცენტრის (ლ.ზივზივამე, დ. ხუსკივამე) ორგანიზებით.

4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სამემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით.

5. დასკვნითი გამოცდის ელექტრონული ფორმით დისტანციური წესით ჩატარება განხორციელდეს ელექტრონული პლატფორმის საშუალებით Microsoft Teams (Microsoft Forms) და Moodle.atsu.edu.ge . დისტანციურად დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი ცხრილის შესაბამისად.

6. ფაკულტეტების დეკანებმა მოახდინონ სტუდენტთა და თანამშრომელთა დროული ინფორმირება დასკვნითი გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების ჩართულობა საგამოცდო პროცესში.

7. დაევალოს:

7.1. ონ-ლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის სპეციალისტებს დავით კეთილაძეს, რამინ ჯუღელს და ელექტრონული სწავლების კოორდინატორს ნ. ცაგარეიშვილს Microsoft Teams -ისა და აწეს ელექტრონული სასწავლო პორტალის moodle.atsu.edu.ge - ის ადმინისტრირება;

7.2. ფაკულტეტის დეკანებს დასკვნითი გამოცდების ცხრილების შექმნა სასწავლო კურსებისა და სალექციო ჯგუფების მიხედვით და ცხრილების შედგენის დროს გაითვალისწინონ, რომ minor პროგრამაზე გამოცდები დაინიშნოს 2022 წლის 20 და 27 იანვარს.

7.3. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების რამდენიმე ვარიანტის (არა ნაკლებ სამი ვარიანტისა) წარმოდგენა;

7.4. დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების სილაბუსთან შესაბამისობის შემოწმება და დამტკიცება. შემოწმებული და დამტკიცებული დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების Microsoft Teams (Microsoft Forms) - ში და moodle.atsu.edu.ge-ზე ატვირთვა მოახდინონ გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე და განსაზღვრონ ტესტისა და საგამოცდო საკითხებისათვის საჭირო დროის პარამეტრები:

ა. ტესტის შემთხვევაში - ტესტში მოცემულ ერთ კითხვაზე არაუმეტეს ერთი წუთისა;

ბ. საგამოცდო საკითხების შემთხვევაში - ერთ საკითხზე არაუმეტეს 30 წუთისა; (საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს მაქსიმუმ საათ ნახევარით), ხოლო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მიეცეთ დამატებითი დრო.

8. დასკვნითი გამოცდების ჩატარების დროს დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

ა. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ოთხი მეთოდით: ტესტი, წერა, კომბინირებული და ზეპირი გამოკითხვა. როგორც გათვალისწინებულია შესაბამისი საგნის სილაბუსში;

ბ. საგამოცდო დრო - განისაზღვროს დასკვნითი გამოცდის სპეციფიკისა და ტიპის მიხედვით. კერძოდ:

ბ¹. ღია ტესტის შემთხვევაში თითოეულ კითხვაზე გამოიყოს 2 წუთი ;

ბ². საწერი საგამოცდო საკითხები;

- თუ საკითხის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა გამოიყენოს ტექსტური პასუხის ფორმა - 1 ერთი საკითხისთვის განკუთვნილი დრო განისაზღვროს საგნის სპეციფიკისა და საკითხის სირთულიდან გამომდინარე, არაუმეტეს 30 წუთი.

- თუ სტუდენტს შესასრულებელი აქვს ტესტი და სტუდენტმა უნდა დაწეროს ფურცელზე, გადაუღოს სურათი და ატვირთოს პასუხი, სტუდენტს თითოეულ საკითხზე გამოეყოს სტანდარტულად განსაზღვრულ დროზე 50%-ით მეტი დრო.

გ. დასაწერი დასკვნითი საგამოცდო საკითხების შესრულებისათვის განისაზღვროს ორი ფორმა:

გ¹. თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხი არ აღემატება მოცულობაში 4000 სიმბოლოს(რაც მოიცავს როგორც სასვენ ნიშნებს, ასევე დაშორებას) - ასეთ ტესტში გამოყენებულ იქნას Microsoft Forms ტექსტური პასუხის ველის ფუნქცია (Text);

გ². თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხის მოცულობა აღემატება 4000 სიმბოლოს, ან სტუდენტს უწევს მათემატიკური ან ქიმიური ფორმულების წერა, ასეთ ტესტში გამოყენებულ იქნეს ფაილის პასუხად მიმაგრების ფუნქცია (File Upload). კერძოდ, სტუდენტი ფურცელზე ასრულებს სამუშაოს, გადაუღებს სურათს და ატვირთავს ფაილად;

დ. კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში მასზე გავრცელდეს ამ მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტების რეგულაციები.

ე. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში სტუდენტების გამოკითხვა იწარმოოს ჯგუფურად Microsoft Teams-ის პლატფორმაზე და მოხდეს გამოკითხვის ჩაწერა სტუდენტები ინფორმირებულ იქნან გამოკითხვის ჩაწერის შესახებ და განემარტოთ მათ აღნიშნული ქმედება, როგორც აპელაციის შემთხვევაში სადავო საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად.

9. დასკვნითი გამოცდების Microsoft Teams-ში და moodle.atsu.edu.ge-ზე ონ-ლაინ ჩატარების დროს, სტუდენტმა უნდა დაიცვას შემდეგი ტექნიკური და მინიმალური სისტემური მოთხოვნები:

9.1. სისტემაში შესვლისას, სტუდენტმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს კორპორაციული ფოსტისა და აწსუ-ს მიერ მიწოდებული პროგრამის საშუალებით;

9.2. სტუდენტმა უნდა ჩართოს კამერა, რადგან კამერის აქტივაციის გარეშე ის ვერ შეძლებს გამოცდის ჩაბარებას აწსუ-ს მიერ მიწოდებული პროგრამის საშუალებით;

9.3. სტუდენტმა, Microsoft Teams-ის სისტემაში, უნდა შეიყვანოს გამოცდის კოდი (კოდი 5 სიმბოლოსგან შედგება), რომელსაც ის მიიღებს Microsoft Teams-ში არსებულ ჯგუფში;

9.4. Microsoft Teams-ში სისტემაში საგამოცდო კოდის შეყვანის შემდეგ, სტუდენტი ავტომატურად აღმოჩნდება გამოცდაზე. თუ გამოცდა არ არის დაწყებული, ის ეკრანზე მიიღებს შეტყობინებას, გამოცდის დაწყებამდე დარჩენილი დროის შესახებ;

9.5. აწსუ-ს მიერ მოწოდებული საგამოცდო სისტემა უზრუნველყოფს:

9.5.1. მალსახმობლების (Shortcut) და ფუნქციური ღილაკების ბლოკირებას (F1,F2...F12; Ctrl+Alt+Del; Alt+Tab; Win ღილაკის ყველა კომბინაცია; Fn ღილაკების ნებისმიერი კომბინაცია; ნებისმიერი კლავიშის კომბინაცია რომლებიც გამოიყენება კოპირების, ამოჭრის, ჩასმისა და სხვა მოქმედებებისთვის და ა.შ.);

9.5.2. ნებისმიერი ტიპის პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენების ბლოკირებას გამოცდის მიმდინარეობის პერიოდში, გარდა კლავიატურის განლაგებისა და ენის შეცვლის ფუნქციისა;

9.5.3. გამოცდის დასრულებამდე დარჩენილი დროის უკუთვლას და ეკრანზე ჩვენებას;

9.5.4. ვინაიდან სისტემის მხრიდან მიმდინარეობის გამოცდის მონაწილის IP მისამართების მონიტორინგი, აკრძალულია VPN – Proxy ტექნოლოგიების გამოყენება, რაც

ავტომატურად ითვლება დარღვევად და მიეცემა შესაბამისი რეაგირება. ვიდეო მეთვალყურეობის დროს დაფიქსირებული ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი მოქმედება გამოიწვევს სტუდენტის საგამოცდო შედეგების გაუქმებას;

10. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და ფაკულტეტებზე დეკანის განკარგულებით შექმნილმა ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრებმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად უზრუნველყონ დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარება, ამ ბრძანებით დადგენილი წესების დაცვით.

11. ფაკულტეტების დეკანებმა დააზუსტონ საგამოცდო ჯგუფების შემადგენლობა და მოამზადონ საგამოცდო პროცესში ჩართულობისათვის დასკვნითი გამოცდის ჩატარებამდე 2 დღით ადრე, რომლებშიც არ იქნება გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე არცერთი სტუდენტი (წინაპირობა, სტატუსი და სხვა).

12. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გამოცდის ჩატარების თარიღიდან 3 დღის ვადაში დაევალოთ სტუდენტთა შეფასების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში და შეტანა ელექტრონული დეკანატის უწყისებში.

13. ენათა ცენტრის, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საგნის სილაბუსით განსაზღვრული შეფასებით ჩაატარონ დასკვნითი გამოცდა დისტანციური ზეპირი (ან სხვა) ფორმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ და მასზე გავრცელდეს ამ ბრძანების მე-8 მუხლის „ე“ პუნქტი.

14. დასკვნითი გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარმართოს ფაკულტეტების ადმინისტრაციების განთავსების ადგილას და საგამოცდო ცენტრში.

15. საბაკალავრო, დამატებით (minor), მეორე სასწავლო წლის სამაგისტრო და ერთსაფეხურიან (ქართულ ენოვან) საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 17.01. 2022 – 29. 01. 2022 პერიოდში. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 2.02. 2022-ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 5.02.2022-ის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 9.02.2022 -ის ჩათვლით.

16. უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები დაიგეგმოს ამ ბრძანების მე-13 მუხლით გათვალისწინებული ვადებიდან ერთი კვირის შემდეგ.

17. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, პირველი სასწავლო წლის, საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 31.01. 2022 – 11. 02. 2022 პერიოდში. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 15. 02. 2022-ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 16.02.2022-ის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 18.02.2022 -ის ჩათვლით.

18. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისა „განათლების მეცნიერებები“) საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტში არსებულ სააუდიტორიო სივრცეში უნივერსიტეტის რექტორის № 01-04/43 31.05.2021 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანების ორგანიზებით.

19. დოქტორანტურის ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტში არსებულ სააუდიტორიო სივრცეში 24.01.2022 -6.02. 2022 პერიოდში.

20. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე საშემოდგომო სემესტრის დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ჰიბრიდული წესით სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის რექტორის № 01-04/90 12.10.2021 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის მიხედვით, ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით.

21. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ვერ ჩააბარებენ ონ-ლაინ დასკვნით გამოცდას ტექნიკური მიზეზების გამო დასკვნითი გამოცდა ჩატარდება უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ სივრცეში 2022 წლის 14.02.2022- 19.02. პერიოდში დეკანების მიერ დამტკიცებული საგამოცდო ცხრილების მიხედვით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგენილი ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

22. იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს FX შეფასება განმეორებითი დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2022 წლის 21.02- 28.02. პერიოდში დეკანების მიერ დამტკიცებული საგამოცდო ცხრილების მიხედვით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგენილი ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

23. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.

24. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოგ. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

25. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოგ. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება, "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1011269, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1011252, უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 31 მაისის ბრძანებით (№ 01-04/43) დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წლის განრიგი, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-04/90 12.10.2021 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ, ფაკულტეტის დეკანების სამსახურებრივი ბარათები .



სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი:

იმერი ბასილაძე

პროფ. როლანდ კოპალიანი